

უცხოური საწარმოს ფილიალი
სს სამშენებლო,
სამრეწველო და სავაჭრო
ფირმა „ეჯეთაშ“-ის
საქართველოს ფილიალი

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
5. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

სს სამშენებლო სამრეწველო და სავაჭრო ფირმა „ეჯეთაშ“-ის საქართველოს ფილიალი სრული შემოსავლების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის


		31.12.019	31.12.2018
ამონაგები	4	16,866,742	6,078,723
მომსახურების გაწევიდან		16,866,742	6,078,723
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(2,447,129)	(1,288,814)
საწყისი მარაგები		(318,609)	(131,367)
მარაგის შემენა		(2,616,766)	(1,476,056)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1,089,230)	(1,231,141)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(153,886)	(104,612)
ოჯარის ხარჯი	5	(1,457,812)	(441,884)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(8,278,843)	(1,870,487)
სხვა ხარჯი	6	-	(615,010)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		3,439,842	526,775
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		3,439,842	526,775
მოგების გადასახადი		(515,976)	(60,786)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		2,923,866	465,989

დირექტორი

ერჯუმენტ ეჯა

ბუღალტერი

არჩილ პაიჭაძე



სს სამშენებლო სამრეწველო და სავაჭრო ფირმა „ეჯეტაშ“-ის საქართველოს ფილიალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	1,173,734	1,015,869
არამატერიალური აქტივები	8	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივი		1,173,734	1,015,869
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	9	488,246	318,609
მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები	10	1,802,596	2,293,711
გადახდილი ავანსები		28,021	54,551
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	11	7,648	-
სულ მიმდინარე აქტივები		2,326,510	2,666,871
სულ აქტივები		3,500,244	3,682,740
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		-	-
სხვა რეზერვები		565,858	2,178,202
სულ საკუთარი კაპიტალი		565,858	2,178,202
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	2,830,741	1,348,648
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		103,646	103,701
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		-	52,189
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,934,387	1,504,538

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3,500,244	3,682,740
--	-----------	-----------


სს სამშენებლო სამრეწველო და სავაჭრო ფირმა „ეჯეტაშ“-ის საქართველოს ფილიალი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის


	სარეზერვო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2017 წაშთი	2,842,151	-	2,842,151
სარეზერვო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	-	(1,129,938)	(1,129,938)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	465,989	465,989
გაცემული დივიდენდი		-	-
31.12.2018 წაშთი	2,842,151	(663,949)	2,178,202
სარეზერვო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	-	(4,536,210)	(4,536,210)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	2,923,866	2,923,866
გაცემული დივიდენდი	-	-	-
31.12.2019 წაშთი	2,842,151	(2,276,293)	565,858

დირექტორი



ერჯუმენტო ეჯი

ბუღალტერი



არჩილ პაიჭაძე

სს სამშენებლო სამრეწველო და სავაჭრო ფირმა „ეჯეტაშ“-ის საქართველოს ფილიალი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

31.12.2019 31.12.2018

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები

20,062,260 8,046,544

მომწოდებლებზე გადახდილი ფული

(17,546,227) (6,567,644)

თანამშრომლებზე გადახდილი ფული

(684,121) (441,176)

საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები

1,831,912 1,037,724

გადახდილი გადასახდები

(1,784,928) (990,283)

ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე

46,984 47,441

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

46,984 47,441

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალების შეძენა

(5,780) (52,946)

მიღებული/გადახდილი დივიდენდი

-

საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები

(5,780) (52,946)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

სესხის ძირის გადახდა

-


სესხის პროცენტის გადახდა		-
სავალუტო გადაფასების შემოსავალი		-
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(33,556)	(16,846)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(33,556)	(16,846)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრადა/შემცირება	7,648	(5,505)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	-	5,505
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	7,648	-

დირექტორი

ერჯუმენტო ეჯე

ბუღალტერი

არჩილ პაიჭაძე



ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და

განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

სს სამშენებლო სამრეწველო და სავაჭრო ფირმა „ეჯეტაშ“-ის საქართველოს ფილიალი ს.ნ 245630063, არის უცხოური საწარმოს ფილიალი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ 05.12.2009 წელს. საწარმოს იურიდიული მისამართი ქ. ბათუმი, მარჯანიშვილის ქ. #4, საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ. ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. #6. საწარმო დაფუძნებული და 100% წილის მფლობელი არის სს სამშენებლო სამრეწველო და სავაჭრო ფირმა „ეჯეტაშ“, ს.ნ 3240014910, თურქეთის რესპუბლიკა.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, კერძოდ წყალ-საკანალიზაციო საინჟინრო ობიექტების, სასმელი წყლით მომარაგების საინჟინრო ობიექტებისა და სანიაღვრე-საკანალიზაციო ქსელისა და საინჟინრო ობიექტების მშენებლობა, მონტაჟი და ექსპლუატაცია.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2019 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

3.2. ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

3.3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

✓ შენობა ნაგებობები	-5 %
✓ საოფისე აღჭურვილობა	-20-30%
✓ ავეჯი და მოწყობილობები	-20-30%
✓ სატრანსპორტო საშუალებები	-10-20%

3.4. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.5. მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.6. იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.7. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.8. მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იხვერება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ამონაგები

(ლარი)

	დასახელება	12/31/2019	31.12.2018
1	შემოსავალი რეალიზიციიდან	16,866,742	6,078,723
2	ფასდათმობა/დაბრუნება	-	-
3	სხვა შემოსავალი	-	-
	ჯამი:	16,866,742	6,078,723

5. საიჯარო მომსახურების ხარჯები

(ლარი)

	დასახელება	12/31/2019	31.12.2018
1	საიჯარო ქირა	1,457,812	441,884
	ჯამი:	1,457,812	441,884

6. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

(ლარი)

დასახელება	12/31/2019	31.12.2018
1 სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	4,985,570	1,492,726
2 საწვავ-საპოხი მასალის ხარჯი	174,377	124,428
3 ძირითადი საშუალებები ხარჯად აღიარებული	5,780	-
4 საპენსიო ფონდში შენატანი საწარმოს მიერ	4,344	-
5 საოფისე ინვენტარის ხარჯი	532	703
6 კომუნიკაციის ხარჯები	2,629	5,165
7 კომუნალური ხარჯები	13,877	7,458
8 დაზღვევის ხარჯი	29,154	-
9 რემონტის ხარჯი	4,093	-
10 კომპიუტერული და საკანცელარიო ხარჯი	1,044	7,333
11 საკონსულტაციო ხარჯი	-	2,034
12 ბანკის საკომისიო	5,928	2,283
13 ქონების გადასახადი	12,478	12,032
14 წარმომადგენლობითი ხარჯი	4,659	6,458
15 სარეკლამო ხარჯი	-	5,350
16 მივლინების ხარჯი	4,145	-
17 დეკლარაციის გაფორმების ხარჯი	2,054	13,699
18 საპროექტო მომსახურება	8,238	13,658
19 ავტო მომსახურება	2,977	5,810
20 ბანკის საგარანტიო ხარჯები	145,847	158,339
21 სხვა საერთო ხარჯი	220,772	11,863
22 სხვა არასაოპერაციო ხარჯები	207,782	1,148
23 არარეზიდენტი საწარმოზე მიკუთვნებული/განაწილებილი მოგების დასაბეგრი ბაზის შემცირება დებიტორული დავალიანებით	2,442,561	615,010
ჯამი:	8,278,843	2,485,497

7. ძირითადი საშუალებები

(ლარი)

	შემენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2019	შემოსვლა / გასვლა	ცვლილება	ნაშთი 31.12.2018
1	შენობა	453,554		23,871	477,425
2	ოფისის აღჭურვილობა	15,363	441	3,731	18,653
3	ავტო და სხვა ინვენტარი	30,432	1,271	7,290	36,451
4	სატრანსპორტო საშუალებები	245,899		53,360	299,258
5	მანქანა-დანადგარები	428,488	4,068	65,635	490,055
	ჯამი:	1,173,735	5,780	153,886	1,321,842

ძირითადი საშუალებების ცვლილება დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია
თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვლილების გამოკლებით.

8. არამატერიალური აქტივები

(ლარი)

	შემენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2019	შემოსვლა / გასვლა	ცვლილება	ნაშთი 31.12.2018
1	ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა	-	-		-
	ჯამი:	-	-	-	-

9. მარაგი

(ლარი)

	დასახელება	12/31/2019	31.12.2018
1	სარეალიზაციო საქონელი	-	-
2	სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	488,246	318,609
	ჯამი:	488,246	318,609

10. მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

(ლარი)

დასახელება	12/31/2019	31.12.2018
1 სავაჭრო მოთხოვნები	1,802,596	2,293,711
2 მოთხოვნა დანაკარგებზე		
3 მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე		
4 მომწოდებლებთან ავანსად გადახდილი	28,021	54,551
5 მოთხოვნები თამამშრომლებთან		
ჯამი:	1,830,617	2,348,262

11. ფულადი სახსრები

(ლარი)

დასახელება	12/31/2019	31.12.2018
1 ფული საბანკო ანგარიშზე	7,648	-
3 ნაღდი ფული სალაროში		
4		
ჯამი:	7,648	-

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

დასახელება	12/31/2019	31.12.2018
1 სავაჭრო ვალდებულებები	2,830,741	1,348,648
2 მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	-	52,189
3 სახლფასო ვალდებულება პერსონალთან	103,646	103,701
ჯამი:	2,934,387	1,504,538

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 22 დეკემბერს.

დირექტორი:



ერჯუმენთ ეჯე

ბუღალტერი:

არჩილ პაიჭაძე